საინფორმაციო ფურცელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და მათი მხარდამჭერებისთვის

ადგილობრივი სიახლეები

საქართველოში ქალთა საკითხებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა თემებზე მომუშავე ორგანიზაციების პლატფორმა შეიქმნა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებები ქალთა უფლებების განუყოფელი ნაწილია და მათი დაცვა ქალების თანადგომის გარეშე შეუძლებელია. შესაბამისად, ამ თემებზე მომუშავე ორგანიზაციების თანამშრომლობასა და ურთიერთმხარდაჭერას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ამ მნიშვნელობის გათვალისწინებით, საქართველოში ქალთა საკითხებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა თემებზე მომუშავე ორგანიზაციების პლატფორმა შეიქმნა. იგი ქვეყნის მასშტაბით 30-მდე ორგანიზაციას აერთიანებს და მიზნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებების რეალიზების მხარდაჭერას, იმ ბარიერებისა და გამოწვევების შემცირებას ისახავს, რომლებიც მათ წინაშე არსებობს.

ინიციატივას არასამთავრობო ორგანიზაციები - "პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის" და "ქალი და რეალობა" გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერითა და გაეროს მოსახლეობის ფონდთან პარტნიორობით ახორციელებენ, პლატფორმის წარმომადგენლების პირველი სამუშაო შეხვედრა 8-11 სექტემბერს შედგა. მონაწილეებმა ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს და კოალიციურ მუშაობას საფუძველი ჩაუყარეს.

„დღეს ყველა ერთად ვართ და ეს ჩემთვის ძალიან ამაღელვებელია. ამ პლატფორმის შექმნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს შესაძლებლობას მოგვცემს, ჩვენი ხმა უფრო აქტიურად გაისმას, ჩვენი უფლებები კი ქალთა უფლებების მიღმა არ დარჩეს. იმედი მაქვს, ინიციატივის შედეგად, ჩამოყალიბდება ძლიერი გუნდი, რომელიც ერთად იმუშავებს ცვლილებებისთვის და მნიშვნელოვან შედეგებსაც მიაღწევს“, - განაცხადა ორგანიზაციის „ქალი და რეალობა “ ხელმძღვანელმა და პროექტის პარტნიორმა, თამარ მაჭარაშვილმა.

შეხვედრის მონაწილეებმა პლატფორმის საჭიროებები შეაფასეს, გაეცნენ ჯვარედინი დისკრიმინაციის თეორიას, ფორმებსა და შეფასების ტექნიკებს, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის საკითხებს, არსებულ სერვისებსა და ა.შ.

„პლატფორმის ინკლუზიურობა მის მუშაობას კიდევ უფრო ეფექტიანს გახდის. შეხვედრის მიმდინარეობისას უკვე გამოიკვეთა საინტერესო საკითხები, რომლებზეც მუშაობის დაწყებას ვაპირებ“ - აღნიშნა არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომის“ სექსუალური განათლების კომპონენტის მენეჯერმა ხათუნა ხაჟომიამ. საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის ხელმძღვანელმა ლია ტაბატაძემ კი დასძინა, რომ ეს უნდა იყოს სივრცე, სადაც ნებისმიერი ქალი მხარდაჭერილი, დაცული და აღიარებული იქნება. „ვფიქრობ, პლატფორმის დახმარებით გამოჩნდებიან ახალი ლიდერი ქალები, რომლებიც ამ მოძრაობას წარმატებით გაუძღვებიან“ - განაცხადა მან.

პლატფორმა ღიაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების ყველა მხარდამჭერისთვის. ინიციატივა ხორციელდება გაეროს ერთობლივი პროგრამის „სოციალური დაცვის სისტემის ტრანსფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის“ ფარგლებში, მდგრადი განვითარების მიზნების ერთობლივი ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

წყარო: https://bit.ly/3lqeWWP

PHR – ი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებს სექსუალურ ჯანმრთელობასა და რეპროდუქციულ უფლებებზე იურიდიულ დახმარებას გაუწევს

PHR - მა დაიწყო ახალი პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს შშმ ქალების წვდომას სექსუალურ და რეპროდუქციულ უფლებებზე.

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს შშმ ქალებისა და გოგოების სექსუალურ ჯანმრთელობისა და რეპროდუქციული უფლებების (SRHR) დაცვას, როგორც ინსტიტუციონალური ცვლილებების გამოწვევით, ასევე საზოგადოების ინფორმირების გზით.

პროექტის განხორციელებისას PHR-ის იურისტები, შშმ ქალებსა და გოგოებს, გაუწევენ სამართლებრივ კონსულტაციებს შემდეგ საკითხებზე:

- დამოუკიდებელი ცხოვრების უფლება;
- პირადი და ოჯახური ცხოვრების მხარდაჭერა სახელმწიფოსგან;
- სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლება;
- შშმ ქალების მიერ მშობლის უფლების განხორციელება.

ასევე განხორციელდება ცნობიერების ამაღლების კამპანიები ინფორმაციის ფართოდ გასავრცელებლად, როგორც პროფესიონალებში, ასევე საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებში, რითაც გაიზრდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე ცოდნა და დღის წესრიგში დადგება ამ უფლებებზე აქტიური მუშაობა.

PHR-ის გუნდი სტრატეგიული სამართალწარმოების გზით ყურადღებას გაამახვილებს არსებულ სტრუქტურულ ბარიერებზე, დისკრიმინაციულ პრაქტიკაზე, სისტემურ გამოწვევებზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

წყარო: https://bit.ly/3koDJsX

საერთაშორისო ამბები

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების იძულებით მოთავსება და მკურნალობა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში

ევროპის შეზღუდული შესაძლებლობის ფორუმის (European Disability Forum) ჟურნალ „ქალთა ხმის“, 2020 წლის, ოქტომბრის ნომერის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო: „გენდერი, იძულება და ფსიქიატრია“.

„ქალთა ხმის“ თანახმად: დღეს-დღეობით სამწუხაროდ ევროპის ყველა ქვეყანა იყენებს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში იძულებით განთავსების და მკურნალობის პრაქტიკას. ფაქტია, რომ ქალები ფსიქიატირულ საავადმყოფოებში ექვემდებარებიან ძალადობას, არასათანადო მოპყრობას, მედიკამენტების გადამეტებულ და არასათანადო მოხმარებას და სამწუხაროდ სიკვდილს. დიდ ბრიტანეთში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ეთნიკური უმცირესობის და ფერადკანიან ქალებს 3-6-ჯერ მეტი აქვთ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებით მოთავსების რისკი.

EDF აქვეყნებს ნატალი დეილის ისტორიას. ნატალი დეილი 2014 წელს, 4 წლიანი არანებაყოფლობითი ჰოსპიტალიზაციის შემდეგ რესპირატორული პრობლემით გარდაიცვალა რაც გამოწვეული იყო მედიკამენტების არასწორი ადმინისტრირებით. წლების განმავლობაში ნატალი იძულებით ექვემდებარებოდა მკურნალობას აბებით და ნეიროლეპტიკური ნემსებით, როგორც ჰოსპიტალის შიგნით, ისე მის გარეთ. 2010 წელს მან გააჩინა გოგონა, რომლის ნახვის და მშობლად ყოფნის უფლებაც მას სამუდამოდ ჩამოართვეს. მისი სიკვდილი განპირობებული იყო არასწორად მართული სამკურნალო საშუალებებით.



2014 წელს, ევროპის საბჭოს ბიოეთიკის კომიტეტმა დაიწყო მუშაობა პროტოკოლზე - „ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე შშმ პირთა უფლებების დაცვა არანებაყოფლობითი განთავსების და მკურნალობისას“. თუმცა EDF-ის შეფასები, ამ პროტოკოლის სამუშაო ვერსიამ კიდევ უფრო გაზარდა შშმ პირების არანებაყოლდობითი მოთავსების და მკურნალობის შანსები, ვინაიდან იგი რეალურად ეძებს კანონიერ გზებს ადამიანების იზოლაციის, შეზღუდვის და იძულებითი მკურნალობისთვის. ამიტომ, EDF-მა და მისმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა მოითხოვეს ამ პროტოკოლის გაწვევა და მის ნაცვლად ახალი პროტოკოლის შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება ფსიქიკური ჯანმთელობის სფეროში იძლების მეთოდების დასრულებისკენ.

წყარო: https://bit.ly/3nnUuGJ

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ევროპული დღის-წესრიგი

ევროკომისია ამზადებს შეზღუდული შესაძლებლობის ევროპულ სტრატეგიას 2020-2021 წლებისთვის. EDF-ის განცხადებით, ვინაიდან შშმ ქალები წარმოადგენენ შშ მოსახლეობის 6%-ს ევროპაში, მათ აქვთ უფლება იყვნენ სტრატეგიის შემუშავების ცენტრში.

შშმ ქალებთან და გოგოებთან დაკავშირებით ევროკავშირი ახალ სტრატეგიაში გეგმავს:

* ევროკავშირის ყველა ქვეყანამ მოახდინოს რატიფიკაცია და სრულად აღასრულოს სტამბულის კონვენცია (ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია), შშმ ქალების და გოგოების მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად;

* მოახდინოს შეზღუდული შესაძლებლობის საკითხების რინტეგრირება ევროკავშირის პოლიტიკის დოკუმენტებში, განსაკუთრებით გენდერული თანასწორობის თემაზე შემუშავებულ დოკუმენტებში, რომელიც ეხება დასაქმებას, ჯანმრთელობის დაცვას და გენდერული ძალადობის დაძლევას;

* შშმ ქალებისთვის გენდერული სახელფასო სხვაობის (gender pay gap) შესწავლა, კაცებთან მიმართებაში მისი აღმოფხვრის მიზნით;

* ევროკავშირის ყველა ქვეყნის კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს სექსუალურ შევიწროებას სამუშაო ადგილზე, მათ შორის, ინკლუზიურ დასაქმების ადგილას, სრულად ფარავდეს შშმ ქალების საჭიროებებს;

* დაფუძნდეს ევროკავშირის ყველა ქვეყანაში პროგრესის გაზომვის მექანიზმები და შეგროვდეს რელევანტური მონაცემები შშმ ქალთა საჭიროებაზე კვლევების ჩატარების გზით.

„ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ: ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲐ 2017-2023

საქართელოსთვის, როგორც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისთის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს შეზღუდული შესაძლებლობის სტრატეგია, რომელიც საქართველოს მთავრობისთვის პოლიტიკის შექმნის ერთ-ერთი სახელმძღვანელო დოკუმენტია.

სტრატეგია შემუშავდა 2016 წელს, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობით.

სტრატეგია შემუშავებულია 5 პრიორიტეტული სფეროს მიხედვით:

- თანასწორობა და დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემო;
- ცნობიერების ამაღლება;
- მისაწვდომობა;
- თანასწორუფლებიანობა კანონის წინაშე;
- თავისუფლება ექსპლუატაციისგან, ძალადობისაგან და არასათანადო მოპყრობისაგან.

სტრატეგიის თანახმად, იგი წარმოადგენს მოქნილ პოლიტიკის ინსტრუმენტს და ჩარჩოს, რომელიც შეიძლება ადაპტირებული იყოს ეროვნულ დონეზე ევროპის საბჭოს ქვეყნების კანონმდებლობისა და პოლიტიკის გათვალისწინებით. წევრი სახელმწიფოების მთავრობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რომლებიც წარმოდგენილები იქნებიან მათი ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ, ხელს შეუწყობენ სტრატეგიის განხორციელებას ადგილობრივ დონეზე.

სტრატეგია განსაკუთრებულ ადგილს უთმობს შშმ ქალთა უფლებების დაცვას და ამისთვის სპეციალური თავია შემუშავებული, რომელიც მიუთითებს, რომ:

გენდერული თანასწორობა ნიშნავს თანაბარ ხილვადობას, უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას და მონაწილეობას ქალისთვისაც და მამაკაცისთვისაც როგორც საჯარო, ისე პირად ცხოვრებაში. ევროპის საბჭოს კონტექსტში ეს ნიშნავს, რომ გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხები შესულია შეზღუდული შესაძლებლობების პოლიტიკის, პროგრამის, აქტივობის დაგეგმარების, ბიუჯეტირების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში და პირიქით.

ამისთვის ასევე საჭიროა სქესისა და შეზღუდული შესაძლებლობების მიხედვით ჩაშლილი მონაცემები და ამ სფეროს ყველა პროგრამასა და აქტივობაში ქალებისა და მამაკაცების თანაბარი მონაწილეობა. ამიტომ მნიშნელოვანია ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ და გენდერულად მგრძნობიარე შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ გადამზადებას, მათ შორის, ევროპის საბჭოს პროგრამების ფარგლებში (როგორიცაა სასწავლო პროგრამა), საჯარო და კერძო სექტორის პროფესიონალებისთვის, რათა მათ შესძლონ შშმ პირთა ექსპლოატაციის, ძალადობის და შეურაცხყოფის აღიარება, მასზე რეაგირება და მრავლობითი დისკრიმინაციის რისკის იდენტიფიცირება. ასევე მნიშვნელოვანია სათანადო ყურადღება დაეთმოს შშმ ქალების და გოგოების დაცვას გენდერული ძალადობისგან.

წყარო: https://bit.ly/3pgfRv8

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტში გენდერული თანასწორობის კამპანია

2020 წლის 30 ნოემბერს, გაიმართება გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების (UN CRPD) კომიტეტის 18 წევრიდან 9 წევრის არჩევა. სწორედ ამ პირებს მიენიჭებათ უფლებამოსილება განახორციელონ გაეროს შშმ პირთა კონვენციის აღსრულებაზე ზედამხედველობა. კამპანიამ სახელწოდებით "Gqual Campaign", ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებმა, International Disability Alliance და International Disbaility and Development Consotrium, შეიმუშავეს ერთობლივი განცხადება. ამ განცხადებით ისინი მოითხოვენ კომიტეტის შემადგენლობაში ქალები თანასწორად იყვნენ წარმოდგენილნი.



წყარო: https://bit.ly/3knmJDl

სასარგებლო რესურსები:

საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა ვებ-გვერდებსა და სოციალური ქსელის გვერდებზე შეგიძლიათ მიიღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მსოფლიოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებსა და მოძრაობაზე:

1. Internaional Disability Alliance.
ვებგვერდი: https://www.internationaldisabilityalliance.org/
სოციალუქი ქსელი: https://www.facebook.com/InternationalDisabilityAllianceIDA

2. European Disability Forum
ვებგვერდი: http://www.edf-feph.org/
სოციალური ქსელი: https://www.facebook.com/EuropeanDisabilityForumEDF

3. Inclusion International.
ვებგვერდი: https://inclusion-international.org/
სოციალური ქსელი: https://www.facebook.com/inclusioninternational

4. International Network for Women with Disablities
ვებგბერდი: https://inwwd.wordpress.com/
სოციიალური ქსელი: https://www.facebook.com/InternationalNetworkOfWomenWithDisabilities

5. Gqual Campaign - http://www.gqualcampaign.org/home/

6. International Disbaility and Development Consotrium - https://www.iddcconsortium.net/

წინამდებარე საინფორმაციო ფურცელი გამოიცემა ორგანიზაციების „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ და „ქალი და რეალობა“ ერთობლივი ძლისხმევით. მისი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ქალების გასაძლიერებლად მსოფლიოში და საქართველოში მიმდინარე მოვლენების ასახვა; შშმ ქალებისთვის ამ მოვლენებთან დაკავშირების და მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის მიცემა. ყოველთვიური საინფორმაციო ფურცლის გამოცემა შესაძლებელი გახდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, პროექტის „ქალთა გაერთიანება - საქართველო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და გოგონათა ხმის გასაძლიერებლად.“ ფარგლებში, რომელიც 2020 წლიდან ხორციელდება და ეხმარება შშმ ქალთა და მათ მხარდამჭერთა პლატფორმის მუშაობას.

პუბლიკაციაში/ტექსტში გამოთქმული მოსაზრებები ავტორ(ებ)ისეულია და შესაძლოა, არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის ან მდგრადი განვითარების მიზნების ერთობლივი ფონდის მოსაზრებებს